<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>
ხელშეკრულება N0122/713

ქ. თელავი 24 იანვარი 2014 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი გამგებლის გივი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ შპს „პროექტმშენკომპანი", დირექტორის რაულ რაზმაძის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანად შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საავტომობილო გზის თიანეთი-ახმეტა-ფშაველი-ყვარელი-ნინიგორის მე-60 კმ-დან სოფ. ნაფარეული-ლაფანყურის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ. 1 - კმ. 3,5 მონაკვეთის ასფალტობეტონის საფარის, სანიაღვრე არხების, ეზოში შესასვლელების და ფეხით მოსიარულეთა ბილიკების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

2.2 შესყიდვის საფუძველი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №47 განკარგულება.

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის 2.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საერთო ღირებულების 1.5%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 18 000 (თვრამეტიათასი) ლარისა.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა

დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს „შემსყიდველს" ხარისხიანი მომსახურება და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

ბ) მიმართოს წერილობითი შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

ბ) არ მიიღოს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი კორექტირება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი (ინსპექტირების ჯგუფი, ან მოწვეული ექსპერტი).

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) განახორციელებს გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან და მოქმედი სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობას. მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2. გაწეული მომსახურების გადახდა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 საბოლოო ანგარიშსწორება (ეტაპობრივად ანგარიშსწორების შემთხვევაში) განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურისა, მონიტორინგის განმახორციელებელი პირის დასკვნის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

8.4 წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესაბამისად, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების ვადები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება მისი ხელმოწერიდან 2014 წლის 5 მარტამდე.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
თელავის მუნიციპალიტეტი

მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ს გამზირი N16
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი
ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00
ბანკის კოდი: LBRTGE22
ს.კ. - 231280093
ტელ: 0(350)272300

გამგებელი

გივი მეტრეველი ---------- ბ.ა.

მიმწოდებელი:
შპს „პროექტმშენკომპანი"

ფაქ. მის: ქ. თბილისი, იყალთოს გორა 44ა
იურ. მის: ქ. თბილისი, ახალშენის 11/13
ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE33BG0000000888986301
ს.კ. 204979103
ტელ: 599921437

დირექტორი

ზაურ რაზმაძე ---------- ბ.ა.